№ 162. 4 აგვისტო, სამშაბათი. 1866—1881 4 აგვისტო, სამშაბათი. № 162

**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზედ, თ. მუხრანსკის სახლებ-ში კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროებისა“-„ივერიის“ რედაქცია-ში, ქუთაისში „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიას-თან სილაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| დროება და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ. [illegible] ასოზე ნახევარი კაპ., [illegible] ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროებისა“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

**ნახევარი წლის ხელის-მოწერა**

პირველის ივლისიდამ წლის დამლევამდინ

**დროება**

ცალკე ღირს — ხუთი მანეთი

**ივერია**

ცალკე ღირს — სამი მანეთი

ერთად „დროება“ და „ივერია“ რვა მანეთი.

ხელის-მოწერა მიიღება, თფილისში, რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე, თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვეშ), ქუთაისში—აგენტთან ზ. ილია ჭყონიასთან (სილაზე, მირიან ჭყონიას სახლში). ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Редакція „Дроэба“.

## ტელეგრამმები

(„საერთაშორისო ტელეგრაფის სააგენტოსი“)

**ლონდონი,** 31 ივლისს. ემირი ქაბულიდამ ყელათში გაიგზავნა. რა კი შემწეობა მიიღო იმისი საქმე კეთდება.

**პარიჟი.** ალჟირიიდამ იწერებიან, რომ ფრანცუზებმა თავი ანებეს სუსუს აღებას. ადგილის მცხოვრებთ მორჩილება განუცხადეს.

**ლონდონი,** 1 აგვისტო. პალატებს სხვა-და-სხვა აზრი აქვთ ირლანდიის ბილზე. მინისტრების რჩევა შეიკრიბება პარლამენტის კრიზისის გამო, „ტაიმსი“ ფიქრობს, რომ თუ შერიგება ვერ მოხდა მინისტრების გამოსვლა ან პარლამენტის დათხოვნა მოუცილებელია. ზოგიერთა გაზეთები ჰფიქრობენ რომ მმართებლობამ არა უნდა დასთმოს-რა.

**პეტერბურღი,** 1 აგვისტო. სახელმწიფო ბანკის მმართველი ლამინსკი, თხოვნის თანახმათ სამსახურიდამ დათხოვნილ იქმნა. იმის მაგიერ დანიშნულია კრედიტის კანცელარიის დირექტორათ მეოთვი ციმსენი.

**პეტერბურღი,** 2 აგვისტო. მმართებლობის მოამბეში დაბეჭდილია, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით მოსკოვში გაზეთი „რუსეთის კურიერი“ ოთხი თვით დაიხურა.

**პეტერბურღის ბირჟა, 1 აგვისტოს.**

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა — | 96 — | „ |
| მეორისი — — — — | 94 — | 75 |
| მესამესი — — — — | 94 — | $75^1/_2$ |
| მეოთხესი — — — | 94 — | $12^1/_2$ |
| აღმოსავლეთის პირვ. — | 91 — | 50 |
| აღმოსავლეთის მეორე | 91 — | 50 |
| აღმოსავლეთის მესამე | 91 — | 62 |
| ოქრო, $^1/_2$ იმპერიალი | 7 — | 80 |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 228 — | „ |
| მეორე სესხის — — — | 226 — | 50 |

1 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — — | 25 — 62 | პენსი |
| ბერლინი — — | 224 — 25 | პფენიგი |
| ჰამბურღი — — | 218 — 75 | ცენტი |
| პარიჟი — — — | 269 — 75 | სანტიმი |
| კავკასიის კერასინი — — — | | |

**თბილისი, 3 აგვისტოს.**

პურის მკა გათავდა; სიცხე გაიწყვიტა მაინც, თუმცა დარი ვერ არის კარგი. ჩარჩები გამოყოფენ თავს თავიანთ ქისებიდამ და მოსდებენ სოფლებს მზაკვრების ბადეს, რომელშიაც უნდათ გააბან ხალხის ოფლში მცურავი „ოქროს თევზი“.

ამ ხალხის სისხლის მსმელებმა ისე შეაწუხეს ქვეყანა, არა თუ მარტო ჩვენში, არამედ მთელ რუსეთში, რომ, როგორც გაზეთებში იწერებიან, შინაგან საქმეთ სამინისტროში ამ ჟამათ საჯა არის გამართული მაზედ, თუ როგორი სასჯელი უნდა მიეცეს ხალხის შემავიწროებელ ჩარჩებს და ან როგორ უნდა მოისპოს სამუდამოთ ეს საზიზღი ხელობა.

ამ გვარი ჰაზრი შინაგან საქმეთა სამინისტროსი სრულიათ ეთანხმება ხალხის მოთხოვნილებას. არა ვითარი სასჯელი არა კმარა იმ ჯოჯოხეთის შვილებისთვის, რომლებიც საწყალ გლეხებს სტყუებენ თავის ოფლით შენაძენ წლიურ საზრდოს და შიმშილში და გაჭირვებაში აგდებენ მათ წვრილ ცოლ-შვილებს. თითონ დანტე ვერ მოიფიქრებდა იმ გაიძვერების სასჯელს, რომლებმაც, ეს ოთხი ხუთი წელიწადია, ნახევარ ფასათ პური იყიდეს ბორის უეზდში და ის ნახევარი ფასიც ყალბი ფულებით მისცეს.

სანამ სამინისტრო მკაცრ ღონისძიებას მიიღებდეს ამ სენის მოსასპობლათ, ყველა გავლენიანი კაცის და ადმინისტრაციის ვალია გზა შეუკრან ამ ჩარჩებს. შარშან იყო თუ შარშანწინ, თბილისის გუბერნატორმა ბრძანება გასცა თავის გუბერნიაში ჩარჩების წინაალმდეგ. იმედია, რომ ეს ბრძანება წრეულსაც ასრულდება და

## «დროების» ფელეტონი, 4 აგვისტ.

### ციება

არსად ჩანს ნატაშა: სად იქნება წყეული?
ამბობენ აციებსო, სადღაცა წევს სნეული...

გემიე და ვიპოვე, დავაწყარუნე ზარი,
დედაბერმა გამიღო, სხვისთვის დახშული კარი.
შაველ და რა მომესმა?—თავში დამეცა ზარი—

ფარდას უკან ხნაოდა უსუსური ბადანა!..
(ამ ხნავილმა კინაღამ ხალხი ააყაყანა...)

მოვიკითხე ნატაშა, მიპასუხა წუნარ-წუნარა:
„ცხრა თვეა სულ მაციებს—სიცოცხლე გამიმწარა,

ვერაფრით ვერ გადურჩი: ჩამაცივდა ციება.“
—აქ ცუდი ნიშნები ჩანს—აღარ უნდა მიება!...

არსად ჩანს გიორგი: სად იქნება წყეული?
ამბობენ აციებსო, სადღაცა წევს სნეული...

ბოლოს შევხვდი ქუჩაში: ჩამომდნარა, გამხდარა,
სახე გაყვითლებია, ან წელში რამ გასარა?

გულარც დადის რიგზედა, ფეხებს მლივსღა იცვლისა,
ღვინოც თურმე არ ესმის: არც თეთრის, არც წითლისა...
სიყვითლის მიზეზია—სიღარიბე სისხლისა.

მოვიკითხე გიორგი, მიპასუხა წუნარ-წუნარა:
„ღამის მოკვდე მაციებს,—სიცოცხლე გამიმწარა,

ვერაფრით ვერ გადურჩი: ჩამაცივდა ციება...“
—აქ ცუდი ნიშნები ჩანს,—აღარ უნდა მიება...

რაფ. ერისთავი.

### კოკლუა ციკა

(გაგრძელება*)

#### IX

მთელ სახლში სრული სიჩუმე იყო და ციცკამ ისე შეიარა თავის ოთახში, რომ არავის შეუნიშნავს. იმან დასდო ბოლიჩა და დაანთო ბუხარში ცეცხლი. ბავშვს ამის კალთა ეჭირა და ისე დასდევდა უკან, როგორც ყოველთვის ყოველი ულონო ინსტიკტურათ ეძებს ლონიერში შემწეობას. კეთილი ციკა უცინოდა დატევებულს ქმნილებას. ბავშვმა იპოვნა შემწყალებელი.

ციცკამ ბავშვი ხელში აიყვანა და ცეცხლს მიუჯდა. გახადა ფეხ-საცმელი და ქუდი მოხადა. იმას ჰქონდა გაყვითლებული გამხდარი პირი-სახე და ნამტირალევი ლურჯი თვალები. თვალები ცრემლებით აემსო ციცკს, როდესაც შენიშნა რომ პატარა აღარ ტიროდა და გაკვირვებული ათვალიერებდა ამის სადგომს. „უთუოთ ეს ბავშვი მშიერია, იფიქრა იმან, მაგრამ რითი გავაძღო? ჩემს მარტიებს მაგრა მოხარშული კვერცხები აქვთ. გამოვცდი, იქნება ბავშვს მოეწონოს.“

უმაწვილმა არ აიღო. ეს უთუოთ არ მოსწონს. ნეტა რძე მაინც მქონდეს... მაგრამ ეხლა ძრიელ გვიან არის და შოვნა შეუძლებელია, „ბოლოს ციცკამ მაიგონა საშუალეობა: იმან სტოლ-ქვეშიდგან გამოიღო პივის ბოთლი, ჩაასხა პატარა ქვაბში, დაუმატა წყალი, ჩააგდო ერთი ნაჭერი პური, შაქარი და წამოადუღა.

—რა ბედნიერი აზრი მომივიდა! გულ მოდგინებით გააცივა, ჯერ თითონ გასინჯა და მერე ბავშვს დაალევინა და იმანაც ხარბათ მოიწოვა და მალეც დაიძინა.

კოკლუა ციკი წყნარათ წამოდგა და ბავშვი თავის ლოგინზე დააწვინა და დახურა. მერე გახსნა ბოხჩა. იმაში იყო რამდენიმე კონკები, ორი წყვილი ჩულქი, რამდენიმე პერანგი, რომელზედაც შეკერილი იყო სახელი ალფონს. ბოხჩის ძირში ეწყო ერთი წყვილი მძიმე და უმგზავსათ შეკერილი ბაშმაკი.

—მერაფერი შეკერილია, წაიბუტბუტა ციცკამ.

სხვა ბოხჩაში არა იყო-რა. დაიკარგა ეს ყმაწვილი თუ ძალათ დაჰკარგეს? უკანასკნელი უფრო ჭეშმარიტი იყო. „რა ვქნა? პოლიციას გამოუცხადო? ეე, ამაზე ხვალ ვიფიქრებ. მე სად დავწვე? მე მეშინიან ბავშვი არ გავჭყლიტო... მოდი კრესლოს მიუდგამ ლოგინს. რა ცივი ფეხები აქვს საცოდავს,“—და ის მოჰყვა ბავშვის ფეხების გათბობას.

ამის შემდეგ კოკლუა ციცკამ წაიხურა თავის თბილი პალტო, თავი დასდო ბალიშის ნაპირას და დაიძინა წმინდანის ძილით.

#### X

როგორ მოვიქცე? როდესაც ციცკს მოჰქონდა თავის ბარგი, მაშინ რომ შეხვედროდა ვინმე, უთუოთ უამბობდა ამ შემთხვევას და რადგანაც ეს არ მოხდა, ციცკამ აღარავის არა უთხრა რა. ციკი ყველას ეუბნებოდა, რომ ეს ბავშვი ჩემი დისწულიაო და რადგანაც იმას მეორე ჰყავს გა-

*) იხ. „დროება“ № 161.

ამ ბრძანებას სხვა გუბერნატორებიც წაბაძვენ.

უეზდის უფროსების პირ-და-პირი მოვალეობაა ყური უგდონ ჩარჩების გაიძვერობას. ერთი კვირის წინათ ჩვენ გაზეთში (№ 158) დავბეჭდეთ კორრესპონდენცია თელავიდამ, რომელშიდაც კორრესპონდენტი გვწერს: უეზდის უფროსმა მოახდინა განკარგულება, რომ „ვიდრე გლეხი არ შეიტანს სასოფლო პურის მაღაზიაში დადებულს, ვიდრე იგი არ აიღებს თავის სახლობისათვის და მინდვრებისათვის საკმარისს პურს, ვიდრე იგი არ მოიშორებს თავისი სკოლის, ხაზინის, მღვდლის და სხვა ამ გვარი მოვალეობას, არავის არ შეუძლია გაუყიდონ მოსავალი ვალში“. თუ კი ერთი უეზდის უფროსი იმას ახერხებს რომ ვალში არ გაუყიდონ გლეხკაცს პური, სხვა უეზდის უფროსებმა ის მაინც მოახერხონ, რომ ჩარჩებმა არ გამოტყუონ გლეხებს მათთვის საკვებათ საჭირო პური და ისიც ნახევარ ფასად.

მსეც დიდი შემწეობა იქნება ხალხისთვის.

ღელო.

## ახალი ამბები.

ჩვენი დრამატიული ტრუპის უმრავლესობა ბორიდამ ფოთს წასულა, სადა სამი სპექტაკლი გაუმართავთ წარმატებით.

დღეს ბათუმიდამ მივიღეთ წერილი, რომ ისენი ბათუმში ჩასულან და იქ უნდა გამართონ წარმოდგენა, გვწერენ, ბათუმელ სცენის მოყვარეთ ამათი ჩამოსვლა სასიამოვნოთ არ დაურჩათო, რადგანაც აპირებდენ ავსტროვსკის შემოსავლიან ადგილის წარმოდგენასო.

* * *

ჩვენ შევიტყეთ, რომ ქუთაისის ოლქის სასამართლოს გაუმართლებია ჩვენი პატივცემული თანამშრომელი ბატ. ლევან მჭედლიშვილი, რომელზედაც ბათუმის პოჩთმეისტერმა ბატ. დრაჩინსკიმ საჩივარი შეიტანა „დროებაშიდ“ ბეჭდვით შეურაცხ-ყოფისათვის.

* * *

სამიქაოდამ გვწერენ:

„...ჩვენი მამასახლისი (დ. ზეგელია) არც გზებზე ფიქრობს, არც სკოლაზე და არც ბანკზე. ბილეთს ისე არავის მისცემს, რომ ორი შაურის მაგიერ მანეთი არ გამოართვას. ამას გარდა სოფლის მწერალი გვყავს რუსი, რუსი, რომელმაც ქართული არ იცის და სოფლის მოსახლობა ძლიერ დიდ გაჭირვებაშია. რუსი სულ მთვრალია და სოფლელების გინებაში ატარებს დროებასო.

როგორც სოფლის თვით მმართველობაშიც?! აბა, სწორეთ, იმისი დაწერილი პროტოკოლი იქნება კარგი!..

## „დროების“ კორრესპონდენცია

ოზურგეთი, 30 ივლისს. მთელი ივლისის თვე მუდამ დღე ავდრებმა ჩვენს უეზდში ისრე გააფუჭა მიწის ნამყოფი რომ, ამბობენ, თუ რაოდენიმე ხანს კიდე ასრე იქნა, უთუოდ ბურია დამშივდებაო. ეს მეორე-მესამე წელიწადი არის რომ ხის ყურძენმა კარგი ნაყოფი გამოისხა; წელსაც კარგათ არის გამოსხმული, მაგრამ ბევრს ადგილას ნახამთ, რომ ყურძნის მტევნები არის დანაცრული და ყურძნის კაკლები დახეთქილი. ამ გლახა დარებისგან თუ თან-და-თან არ გაფუჭდა რაც ეხლა წამხდარი არის ის დიდს ნაკლულევანებას ვერ მოიტანს.

ამ გლახა ამინდების მოწყალებით, ავათმყოფობა გაგვიხშირდა: ციება, ცხელება, მუცელა. ამის წინათ „დროებაში“ დაბეჭდილი კამანდის რუსების ავათ მყოფობის თაობაზედ კამისია არის დანიშნული, მაგრამ ჯერ უმთავრესი მიზეზი ავათმყოფობისა არ აუხსნიათ: ხმა არის, ცუდი საჭმელების მიზეზიაო, ზოგნი ამბობენ ჰაერის ბრალი არისო და ზოგნი — დედალი ხორცებაო. რა არის ნამდვილი მიზეზი თუმცა ჯერ ვერ გავიგეთ, მაგრამ ამ უბედურებასთან ეს ბედნიერებაც არის რომ ამისთანა სხვა-და-სხვა სენები კაცს არ ჰკლამს.

ეს ხშირი წვიმა ბათუმიდგან სამტრედიამდის რკინის გზის კეთებას ძლიერ აბრკოლებს. ციხის ძირსა და მდინარე სუფსას შუა დიდი შრომა და ხარჯი მიილეს, ბევრი თუნნელები გაიყვანეს.

ჯერ არ არის გადაწყვეტილი სად უნდა იქნეს რკინის გზის სტანცია, ოზურგეთის მახლობლათ. ზოგნი ამბობენ ეს სტანცია იქნებაო შეკვეთილში, ოზურგეთიდამ 17 ვერსტზე, ამბობენ კიდევ რომ ნიგოითში და უნდა იქმნეს პოლუსტანციაო. თუ ეს სიტყვა გამართლდა, კარგი და მშვიდობიანი გზა იქმნება. ყველამ კარგათ იცის კერძო და მოსამსახურე პირებმა, რომ წასრულს ომიანობაში ქუთაისიდგან და სამეგრელოიდგან მომავალი ჯარები გაჭირვებით გარდმოდიოდენ გათხრილის გზაზედ. სამხედრო სამინისტრომ წინასწარ ინება გათხრილის გზის გაკეთება, რომ მიმოსვლელს ჯარებს ყველა საჭირო ადგილებზედ შესძლებოდათ წასვლა. რადგან მართებლობა ომიანობის დროს ნიგოითის და გათხრილის გზით სარგებლობდა და, როგორც ამბობენ, ეს რკინის გზაც ომიანობის დროის სასარგებლოთ არის გასაყვანიო, ყველა წასრული დროის მნახველი და გამგე კაცი უნდა ზრუნავდეს მშვიდობიანი და სასარგებლო გზის დაარსებას.

გურული.

## წერილი რედაქტორთან.

—

ბატონო რედაქტორო! ერთი ნახიჩევნელი ვაჭარის წყალობით ყოველივე ჩემი ქონება დავკარგე და ჩავვარდი ცოლით და ოთხი შვილებით საშინელს გაჭირვებაში.

რო სხვა სიცოცხლის სახსარი არა მქონდა, შევკრიბე რაც რამ მომეძეოდა და ჩამოვედი ქალაქში. აქ ადგილის შოვნა მინდოდა, მაგრამ ბედმა არ გამიღიმა, ჩავვარდი საშინელს გაჭირვებაში და აი ამ საშინელს დროს გამოჩნდნენ კაცთ-მოყვარე პირნი, რომელთაც დაიხსნეს ჩემი თავი და უმოწყალო ცოლ-შვილი შიმშილით სიკვდილისაგან. შემწეობა მივიღე: ახნაურის მამედ-ალი-ბეკ იბრაგიმბეკოვისაგან 10 მ. ბ-ნი ჩითახოვის სავაჭრო კანტორისაგან — 3 მან. მომრიგებელ-მოსამართლე დავით ზურაბის-ძის ყორღანოვისაგან — 7 მან. ნოტარიუს ყორღანოვისაგან — 2 მან. თბილისის მოქალაქე დიმიტრი პავლეს-ძის ელიზ-

---

მოსაკვები, მე მომცა გასაზდელათაო.

მინც კი იცოდა იმის კეთილი გული, არავის უკვირდა ეს შემთხვევა და მეზობელმა დედა-კაცმა, რომელსაც სახლი სავსე ჰქონდა ყმაწვილებით, სიამოვნებით მიიღო პატარა ალფონსი.

ცისკი თან-და-თან უფრო უახლოვდებოდა პაწაწას, რომელმაც თითქო სრულიად გადაივიწყა დედა და აღარ აპირებდა ამის მოშორებას. ის ყოველთვის შიშობდა, რომ პატრონი არავინ გამოსჩენოდა პატარას, ის ყოველთვის აფრთხილებდა, როცა ის ბულვარზე გადიოდა: „გაფრთხილდი, ჩემო კარკო, არავინ მოგიპაროს!“ მაგრამ იმას ყურს არავინ უგდებდა და ბევრჯელ სეირნობიდგან ცისკი ხელში დაძინებულს მოიყვანდა ხოლმე. პოკლუა ცისკმა შეიყვარა ბავშვი სრულის გულით, მთელის თავის მოსიყვარულე გულით და მზათ იყო იმისთვის ყოველიფერი მსხვერპლათ შეეწირა. ეს სრულიად დამშვიდებული გაივლიდა ხოლმე სამიკიტნოსთან. ცისკმა გაუკეთა პატარა ალფონს კედელთან პატარა საწოლი. ეხლა ეს მუყაითათ მუშაობდა ორისათვის და პირველი შემუშავებული ფული, იმან მოაწდომა ალფონსის ახალი ტანისამოსის ყიდვას. უკანასკნელი თითო ოროლა სიტყვას ტყიპტყიპებდა და ამ სიტყვებზე ცისკი სიცილით კვდებოდა.

ეხლა, რომ წამართვან ეს ბავშვი? ცისკი კანკალებდა ამ აზრზე. ის მიეკროდა გულზე ალფონს, რომელიც მოეხვეოდა ხოლმე ყელზე, რადგანაც გრძნობდა, რომ ის უყვარდათ და ანებივრებდნენ.

ალფონსი ლამაზი ბიჭი დადგა. მართალია ცოტა სუსტი იყო, მაგრამ სიცოცხლით სავსე კი იყო.

## XI

იმ ცოტა მუშტრებში, რომელმაც არ დაუტევეს ცისკი უბედურებაში, ერია ერთი დედა-კაცი მადამ ხაზ, რომელიც დაუზარებლივ ადიოდა ცისკის მაღალ კიბეებზე, ტანისამოსზე ამ ქალს ეტყობოდა, რომ ან ლარიბი უნდა ყოფილიყო და ან საშინელი ძუნწი.

ეს იყო მაღალი დედაკაცი. დაჭყლეტილი პირის სახით, ბრწყინვალე თვალებით და კუზიანი ცხვირით. ეს შეუსვენებლივ ლაპარაკობდა და თანაც ხელებს აქნევდა. ცისკს ის ძრიელ ეჯავრებოდა, ამიტომ რომ ის ყოველთვის ასწავლიდა ამას, თუ როგორ დაეკერებინა დახეული ამის ქმრის წაღები. ერთ დღეს ცისკი მუშაობდა და ხანდისხან სიამოვნებით გადაჰყურებდა პატარა ალფონს, რომელიც პოლზე ძაღლს ეთამაშებოდა. უცებ ქარიშხალივით შემოიჭრა მადამ ხაზ და თან შემოჰყვა ყმაწვილი მოახლე. იმათ მაშინვე შენიშნეს ახალი შეძინებული ქმნილება. ცისკმა დაასწრო იმათ კითხვა:

— ეს ჩემი დისწულია; ეს დიდი ხანი არ არის, რაც ჩემთან არის და ისევ მალე დაბრუნდება დედასთან.

მადამ ხაზე ძრიელ ცოტას ფიქრობდა ყმაწვილებზე და ამას მარტო თავის საქმე აწუხებდა. იმან მიმართა მოახლეს.

— რა დაგემართა, ფილომენა, რაზედ გაყვითლდი? რა დაგემართა?

— არაფერი, წაიბუტბუტა გოგომ, მე არ ვიცი, მე მგონი აქა ცხელა!

— მაშ ქუჩაში მომიცადე; მე ამ საათში გამოვალ.

როდესაც მადამ ხაზი მარტო დარჩა ცისკთან, ის მოჰყვა ჩვეულებრივ სწავლებას თუ როგორ უნდა შეეკერა ახალი შეკვეთილი. ცისკი ეხლა გულხმიერათ ისმენდა ამის ლაპარაკს. შემდეგ ხაზმა უალერსა პატარა ალფონს და კიბეზედ კიდევ გაამეორა, რომ კარგათ დაუკერეთ წაღები ბატონ ხაზსაო.

## XII

რამდენსამე დღის შემდეგ გოგო მოვიდა წაღებისთვის. ის შეხედულობით ოცი წლისას გავდა; იმას ჰქონდა შავი თვალები და ხუჭუჭი თმა, და როდესაც ის იღიმებდა, ლოყებზე სასიამოვნოთ ეჩლუტებოდა, ცხვირი ცოტა აწეული ჰქონდა. ტანთ ეცვა შავი კაბა, იმ-ფერივე წინ-საფარებელი და თეთრი თავსახვევი. ცისკს ძრიელ მოეწონა და, რადგან საქმე ჯერ გათავებული არა ჰქონდა, გოგოს სთხოვა მოეთმინა, რაზედაც ის ძრიელ კმაყოფილი დარჩა: — საჩქარო საქმე არ იყო. ის ჩამოჯდა სკივრზედ, რომელზედაც ხარაზი აწყობდა კალაპოტს, ტყავს და სხვა იარაღს. გოგომ ალფონსი კალთაში ჩაისვა. იმას ჯიბეში ჩეედო ქადის ნაჭერი და იმითი მასპინძლობდა ბავშვსა.

ეს იყო ძრიელ მოლაპარაკე და ჩაუჩუმებლივ ელაპარაკებოდა ცისკს და პატარას ხელს უსვამდა ხუჭუჭ ქერა თმაზე. ფილომენამ უამბო ცისკს თავისი ბატონის ვინაობა: ქალბატონი საშინელი ძუნწია. ბატონი ბევრით ყმაწვილია ცოლზედ და ისე ემსახურება იმას, როგორც ლაქია. ქალბატონი ერთ მდიდარ ბებერთან იყო სახლის პატრონათ და იმან სიკვდი-

ბაროვისაგან და ერთად მასთან ქუთაის მცხოვრებს აზნ. ბრიგ. სიმ.-ძის ლორთქიფანიძისაგან—15 მან.

ყველა ზემოხსენებულ პატივ-ცემულ პირთ უცხადებთ, მე და ჩემი ცოლ-შვილი, გულითად მადლობას იმ შემწეობისათვის, რომელიც აღმოგვიჩინეს ჩვენ მათ საშინელის გაჭირვების დროს.

სასპატიო მოქალაქე
ლაზარ საგიმანი.

თბილისი, 3 აგვისტო.

# რუსეთი

გაზეთი პორიადოკი სწერს, რომ განზრახვა აქვთ სასულიერო სასწავლებლების ცვლილება მოახდინონ.

— შემოდგომაზედ სახელმწიფო რჩევა განიხილავს „ჩინოვნიკების“ შტატის ახალ პროექტს. ეხლანდელ განყოფილების და სტოლის უფროსებს და მათ თანაშემწეებთ დაერქმევა უფროსი და უნცროსი საქმის მწარმოებელნი და მათ თანაშემწეები; იმათ ექნებათ ჯამაგირათ 3,000 მან. 2,000 და 1,500 მან. სახუქრები მოსპობილი იქნება შემდეგში (გაზ. ნოვოსტი).

— პეტერბურღის დიპლომატიურ წრიდამ იწერებიან, რომ რუსეთის უცხო საქმეთა სამინისტრო დიდ მზადებაშია ამ მოკლე ხანში მომავალ მიწერ-მოწერაზედ ოსმალეთის მთავრობასთან შესახებ წარსული ომიანობის კონტრიბუციის გარდახდისა რუსეთის სასარგებლოდ. ამ საგანზედ დაიწყება საქმე მაშინ, როდესაც მიწყნარდება და დალაგდება თ. ალექსანდრე ბატენბერგის საქმეები ბოლგარიაში. ეს დამოკიდებულება მიტომ არის, რომ ამ კონტრიბუციაში მონაწილე ბოლგარიაც არის, რადგანაც ის, როგორც ყველამ იცის, ვალდებულია, ბერლინის კონგრესის ძალით, იხადოს ყოველწლიური გარდაწყვეტილი ხარკი ოსმალეთის სასარგებლოდ. (მოსკოვის ტელეგრაფი).

— შინაგან საქმეთა მინისტრის გრ. იგნატიევის ყურადღება არის ამ ჟამად იმაზედ მიქცეული, რომ როგორმე მოსპოს ის ბოროტება, რომელსაც ევრე მაგარი ფესვები-აქვს გადგმული რუსის ადმინისტრაციაში, რომელიც თხოულობს ეხლანდელ ბიუროკრატიულ წესების გამოცვლას.

რაც შეეხება იმას, რომ ერობას მიუმატოს უფლება, რომელსაც უმრავლესობა თხოულობს, ეს უფლებები უმისოთაც ბევრიაო სწერენ და ყოველ შემთხვევაში გარდაემეტება იმ უფლებებს, რომელნიც ჰსუფევდნენ საფრანგეთის წინანდელ გენერალურ შტატებშიო. თუ ერობა თავის მოვალეობას, რომლისათვისაც ისინი მოწოდებულნი, არიან სვინდისიანათ აასრულებს, მაშინ, როგორც მთავრობა ჰფიქრობს, მათ შეუძლიან სამშობლოსთვის დიდი სარგებლობის მოტანა; მაგრამ ისინი არ სარგებლობენ სრულათ მათდამი მანიჭებულ უფლებებით და მიუხედავად ამისა მაინც თხოულობენ ახალ უფლებებს. მითომც ერთი ერობის თხოვნაზედ გრ. იგნატიევს გაეგზავნოს აი ამ გვარი პასუხი: „ისარგებლეთ ჯერ იმ უფლებებით, რომელნიც თქვენ გაქვსთ მონიჭებული; თუ მთავრობა დარწმუნდება, რომ თქვენ მოქმედებიდამ სამშობლოს სარგებლობა მოსდის ამ, შემთხვევაში შესაძლებელია იფიქროს მან მოგანიჭოს ახალი უფლებები.“

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** სორბონში, 23 ივლისს, დაურიგებიათ საჩუქრები პარიჟის და ვერსალის ლიცეის მოსწავლეთათვის, სადაც თავსმჯდომარეობდა მინისტრი-პრეზიდენტი ფერრი. ამ ცერემონიაზე დასწრებია გამბეტაც, პარიჟის გუბერნატორი, სენის პრეფექტი და სხვა წარჩინებულნი პირნი. ფერრის წარმოუთქვამს სიტყვა, მაგრამ არავითარი პოლიტიკური მნიშვნელობა არ ჰქონია, მხოლოდ შესანიშნავი ის ყოფილა, რომ ჩვეულება ამ დღეს სიტყვის წარმოთქმა ლათინურ ენაზედ აღარ დაუცვიათ და წარმოითქვა ფრანცუზულად.

— გამბეტას მოგზაურობაში დიდის ალტაცებით იღებენ ყოველგან. ქ. ბლუადამ დაწყებული, სადაც კი მივიდოდა, ოფიციალურად გამოეცხადებოდა ადგილობრივი მოსამსახურე პირნი. ქ. ტური, გამბეტის მოსვლის დროს, ბაირაღებით შეკაზმული იყო და საღამოს—განათებული. ღინერალ ბალიფემ უარი გამოაცხადა ბანქეთზედ დასწრებაზედ, რადგანაც გამბეტას არ უყვარს, როდესაც სამხედროში მოსამსახურე პირთაგანი დაესწრება ხოლმე პოლიტიკურ დღესასწაულებზე. მთელი დეპარტამენტის მოსამსახურე პირნი ჩამოვიდნენ ტურში გამოჩენილი სტუმრის შესახვედრათ.

ქალაქის თავს უთქვამს სიტყვა გამბეტასთვის, რომელშიდაც გამოუცხადა დიდი სიამოვნება იმის ამ ქალაქში ჩამოსვლის გამო და რესპუბლიკური წესების დაცვისათვის. გამბეტამ უპასუხა, რომ მისთვის ძნელია მოსპოს წარსულის მწუხარების გახსენება, მაგრამ რესპუბლიკის წარმატება ახალისებს და ანუგეშებს მას. დიდ ძალი ხალხი იდგა ორივე მხრით რკინის გზის სადგომიდგან დაწყებული სასტუმრომდის და ალტაცებით ჰყვიროდა: „გაუმარჯოს გამბეტას“! მუზიკა უკრავდა მარსელიეზას.

**აფრიკა,** ალჟირიდამ იწერებიან, რომ ბუ-ამემა ისე არ მოქმედებს, თუ არ დეეკითხა აჯანყებულების მოთავეებს, რომელთაგანაც შეადგინეს სამხედრო რჩევა. ამ რჩევის სხდომები ყოველთვის მეტად ფიცხელია, რადგანაც ხშირად ვერ შეთანხმდებიან ხოლმე სხვა და სხვა ხალხის მოთავენი. ბუ-ამემა ჰფიქრობს თავის ჯარის ორ ნაწილად გაყოფას და დასავლეთისკენ გამგზავრებას, სამხრეთ მაროკოში, სადაც ჰფიქრობს ხორაგის ყიდვას.

— ინგლისური გაზეთი მორნინგ პოსტი სწერს, რომ ინგლისი და იტალია კიდევ აპირებსს თუნისში ორი სამხედრო ხომალდების გაგზავნას ამ ადგილებში მყოფ თავის ქვეშევრდომების ინტერესების დასაცველად.

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის ცხრა საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

**ორშაბათს.** გავრანსკი — ექიმი ბებიაობისა და ქალების ავათმყოფობისა; გორალევიჩი და ლისიცოვი—შიგნაგან

---

ლის შემდეგ თავის ცხოვრება ამ დედაკაცს უანდერძა და ბატონმა ხაზმა კიდეც იმიტომ შეირთო ეგ ბებრუცუნა. მერე ფილომელამ უანბო, რომ ეს არის ბალერძიდამ, რომ ამის მამა მოურავათ არის ერთ მებატონესთან და ბევრი შვილები ჰყავს; რომ ამას ჰყავს დედინაცვალი, რომელმაც ეს სახლიდგან გამოაძევა და სხვა.

— მე გავიზარდე დეიდასთან, დაუმატა ფილომელამ, მაგრამ ის გადიცვალა და მე დამიგდო მემკვიდრეობა, ასე რომ მე უნდა მიმეღო დიდი ფული. კიდევ დეიდას ჰქონდა სახლი და მამული, მაგრამ გამოჩნდნენ სხვა ნათესავებიც და დავა დამიწყეს. ხაზები კარგი მებატონეები არ არიან და ჯამაგირსაც ცოტას მაძლევენ, მაგრამ ალაგის გამოცვლა მეძნელება. მთელ ბრიუსელში გულის შემატკივარი არავინ მეგულება.

სუყველა ეს იმან დაუყოვნებლივ გადმოსცა, თან უალერსებდა ბავშვსა და ჰკითხავდა ცისკას: სად იყიდე ეს მშვენიერი ყვავილები, ან სად იშოვნე ეს გაჩვეული მარტიაო. ეს არც ერთ წამს არ შეჩერებულა რაზედმე და ამის სახის მეტყველება იცვლებოდა წამ-და-უწუმ. ეს აგონებდა მარტს, ხან მხიარულს მზიანს და ხან ღრუბლიან დაბურულს. ცისკი აუჩქარებლივ მუშაობდა. ამას ართობდა ფილომენას ყბედობა და ამასთანავე ეს იმას მადლობდა, რომ ყმაწვილს უალერსებდა. იმას რომ ეკითხნა, თუ საიდგან გაჩნდა ეს ბავშვი, გაუჭირდებოდა პასუხი, მაგრამ გოგომ არ გამოიჩინა ამ გვარი ცნობის-მოყვარეობა. ბოლოს მოაგონდა ფილომელას რომ დაიგვიანა, აიღო წაღები და წავიდა. ცისკმა ის კმაყოფილების ღიმილით გააცილა და მერე თავის ქოხს გადახედა. ამას პირველათ ეჩვენა უშნოთ და არეულათ თავისი სადგომი.

## XIV

გასაოცარი ის იყო, რომ ფილომენა თითონ იშურვიდა ცისკის ოთახში მოსვლას და თან-და-თან უფრო-და-უფრო ფიქრობდა ლამაზ მოახლეზე. ის გაინაბებოდა ხოლმე სიხარულით, როდესაც კიბეზე მოესმოდა ნაცნობი ფეხის ხმა და იმის წასვლის შემდეგ, ეს ყოჩაღათ მივიდოდა ხოლმე სარკესთან და სიამოვნებდა თავის შეხედულობით. იმ დღეებში, როდესაც ეს მოელოდა ფილომენას, თავს გადაიბარცხნიდა და ცდილობდა გაესწორებინა თავისი ჯაგარივით აყენებული თმები. ბედნიერი ღიმილი გადაეშლებოდა ხოლმე პირის სახეზე ყმაწვილი ქალის დანახვაზე! და თუ რამდენსამე დღეს ვერ დაინახავდა ამას, პოკლუა ცისკი ჩავარდებოდა გამოუთქმელ მწუხარებაში. ის ძრიელ ყმაწვილი, ყოველთვის მხიარული და სრულიად მარტოკა დიდ ქალაქში პოკლუა ცისკს უნდოდა რომ ყოფილიყო იმის დამცველად, ამას სურდა სიყვარული და პატარა აღარ ალფონსი აკმაყოფილებდა ამას.

და რაც შეეხება ფილომენას ეს ნათელი იყო:—იმას ეს უყვარდა. ცისკის სიმახინჯე აღარ იყო, რადგანაც ფილომენა ამას აღარ ნიშნავდა. მაშ ალფონს რაღათ უყვარვარ?

როდესაც მადამ ხაზი მოვიდოდა ცისკთან, ეს მაშინვე ლაპარაკს გოგოზე ჩამოუგდებდა ხოლმე და ისიც განუწყვეტლივ გაბავედა ხოლმე: „ფილომენა ავი არ არის, ამბობდა იმის ქალბატონი, მაგრამ საშინელი ქარიანია, ბევრს ჭურჭელს ამტვრევს და წამ-და-უწუმ ქუჩაში გარბის. და მკერვალი ქალი ფიქრობს, რომ ის ვიღაცა ხარაზს გადაეკიდაო.“

წარმოიდგინეთ ცისკის სიხარული: ხარაზი! ეს ხომ მე ვარ!

— მე არ შემიძლიან დავუმალო, თუ ვინიცობაა განიძრახებს ქმრის შერთვას! ის ისეთი კერპია, რომ ღმერთმა ყველა ადამიანი დაიფაროს!

— მე მაგას გამბედაობას ვეძახი, გაიფიქრა ბედნიერმა ცისკმა.

ზოგჯერ ცისკი ალფონსს იმ ქუჩაზე გაატარებდა ხოლმე, რომელზედაც ფილომენა იდგა.

— შეიხედე, ეტყოდა ხოლმე იმას, აი იქა სდგას ისა. ის ხვალ მოვა ჩვენთან, ენახოთ რას მოგიტანს?

— მე ვიცი,—პიროგს, უპასუხებდა ალფონსი და დააკვირდებოდა სახლს.

— აბა ვინ უფრო გიყვარს, ალფონს? ჰკითხა ერთხელ სადილ შემდეგ ცისკმა.

— პასუხის მაგივრათ, ყმაწვილმა აკოცა თავის მამობილს და ხელი დაუსვა იმის ლოყებს.

— კიდევ ვინა?

— მინიმინია *), უპასუხა ყმაწვილმა დაუყოვნებლივ.

— ჰო, მინიმინია. წავიდეთ იმასთან, დეე ის ყოველთვიან განუშორებლივ ჩვენთან იყოს!

— მართლა, მართლა, რა ბედნიერება!

*) ასე ეძახდა ყმაწვილი ფილომენას.

ავათმყოფობისა; როტინიანცი—ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფობისა, ბაბაევი სისუსტის და შინაგან ავათმყობისა; შტემბორსკი ვენერიულ და ტყავის ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფ.; რეიხი—თვალების ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობისა, ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფობისა; პეტროვსკი—ვენერიულ ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** კრასნოგორიადოვი და ლისიცოვი შინაგან ავათმყოფობისა; ქიუხარიანცი და შტემბორსკი—რიფილიტიკური და ტყავის ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს** გვროსკი—ბებიაობისა და ქალების ავათმყოფ.; როტინიანცი—ქალებისა და ყმაწვილების ავათმყო.; ბაბაევი მარლვების სისუსტისა და ელექტრო-ტერაპიისა ლისიცოვი და პეტროვსკი შინაგან ავათმყოფობისა; ქიუხარიანცი 1-ლი სიფილისტიკური ავათმყოფობის.

**პარასკევს.** მინკევიჩი—ხირურგიულ ავათმყოფობის; ბახუტოვი—ბებიაობისა, ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფობისა; კრასნოგლიადოვი, ლისიცოვი და კერმიშოვი—შინაგან ავათმყოფობისა; შტემბორსკი—ვენერიულ და ტყავის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცოვი—შინაგან ავათმყოფობის. რეიხი—თვალების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლვების სისუსტისა და შინაგან ავათმყოფობის; ქიუხარიანცი 2-რე—ქალებისა და შინაგან ავათმყოფობისა.

ობრუსტი—კბილის ავათმყოფებს, მიიღებს თავის სახლში მუდამ დროს ღარიბებს საავათმყოფოს ბარათებით.

---

# განცხადებანი




მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და ყველასაგან ხმარებული **წამალი ნაოჭლარისა**, რომელიც (ნაოჭლარი) სიცხისაგან გაჩნდება ხოლმე, განსაკუთრებით ხშირათ ფეხის თითებს შუა,




# გალმანინი

(Гальманинъ)

ისყიდება აფთიაქებში და აფთიაკის წამლების მაღაზიაში ევროპის ყველა დიდ ქალაქებში. მთავარი დეპო ამ წამლისა არის ფარმაციის მაგისტრის გ. კარპინსკის აფთიაკის ქ. ვარშავში, ელექტორალის ქუჩაზე № 35. დიდი კარობკა გალმანინისა ვარშავში 50 კ. ღირს, პატარა — 30 კაპ. უნდა გაუფრთხილდეთ, რომ ყალბი გალმანინი არ შემოგატყუონ და ითხოვოთ რომ კარობკასთან იყოს: ახსნა როგორ უნდა იხმაროთ წამალი და მედალი პარიჟის მსოფლიო გამოფენისა. (20—17) გ. კარპინსკი.

---

ტფილისს ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და ქუთაისს გერარდის წიგნის მაღაზიაში ისყიდება

სამწერლო

# თაიგული

შედგენილი და გამოცემული ილია ჭყონიასაგან. შინაარსი: I ბაბუას თხოვნა (ლექსი) მ. ფაზელისა, II უბედური შემთხვევა (ამბავი) ჭ—სა, III ჩემს სურათებზე (ორი ლექსი) მ. ფაზელისა, IV მ...სადმი (ლექსი) გ—სა, V ფერი ფერს—მადლი ღმერთს სამ-მოქმედებიანი კომედია ცვლილ. თარგმ. ალექსი ჭიჭინაძისაგან, VI ჩივილი ხვედრისადმი (ლექსი) რაფიელ ერისთვისა, VII ხასიათის გავლენა სამეულ სმაილსისა, VIII უკითხავი პასუხი (ლექსი) ნ. დ—სა, IX ახალი მოვლინება ჩვენს ლიტერატურაში და X მტარვალებს (ლექსი) აკაკისა.

ფასი თითო წიგნისა ათი შაური.

---

გამოვიდა და ისყიდება

ცენტრალ-წიგნის მაღაზიაში ბულვარზე და გრიქუროვის მაღაზიაში კუკიის ხიდის ყურზე, ბაღის პირდაპირ:

ალექსანდრე

# ჭავჭავაძის

ლექსები

ნაწილი პირველი.

ფასი ექვსი შაური.

იქვე ისყიდება:

ლექსნი ნიკ. ბარათაშვილისა. ფასი ერთი აბაზი.

ანტონოვის თხზულებანი. ფასი ერთი მანეთი.

ქართული ანდაზები. ფასი ორი შაური.

მეფე ლირი, ტრაგედია შექსპირისა, თარგმნილი ივანე მაჩაბლისა და ილია ჭავჭავაძისა. ფასი სამი აბაზი.

გრიგოლ ორბელიანის ლექსები. ფასი ექვსი შაური.

დავითიანი (გურამიანი), თქმული დავით გურამისშვილისა. ფასი ერთი მანეთი.

კაცია-ადამიანი, მოთხრობა ილია ჭავჭავაძისა. ფასი ორი აბაზი.

(5—5)

---

**მიწა** იყიდება იმ ალაგას, სადაც აპირებენ ხიდის აშენებას, 18 მ., 20 მ., 22 მ., და 24 მ. კვ. საჟ. მსურველმა იკითხოს ინგლისის მაღაზიაში. იქვე იყიდება ბაღი 1,300 კვ. საჟ., მიხაილოვის ქუჩაზე 17 მან. კვ. საჟ.

(10—6)

---

ინგლისური ინგბერ შამპანიის ლიმონი! ფასი უჭურჭლოთ 25 კაპ. (ჭურჭლით 40 კაპ.), დიდი ბოთლია, **ინგლისის მაღაზიაში.**

(10—2)

---

# ი. ა. მელიქ-ბეგლიაროვის

კერძო რეალურ სასწავლებელში,

(თბილისში, ბარონის ქუჩაზე სახლი № 10, სადაც წინეთ ინტენდანტსტვო იმყოფებოდა). დამატებითი და მისაღები ეგზამენიები დაიწყება 20 მარიამობისთვიდამ, სწავლა—1 ენკენისთვიდამ. (3—2)

---

გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნისიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.

ხატაური — — — 10 კ.

---

ინგლისის მაღაზიაში



ამაგრებს თმას და აძლევს ფერს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ

(100—12)

---

**მიუხედავათ** იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდის და თოფები 20—200 მანეთამდის. **ინგლისის მაღაზიაში.** საავენტო არნსბის უნაგირების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ექსტრაქტისა კაკაო ფრაის რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა აროამატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ ინგლისის მაღაზიაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხვლების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა. (100—88)

---

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე **იყიდება:** პაპიროსი 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—2)

---

**ახლად მიღებულია.**

ინგლისის მაღაზიაში დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა. 30% უფრო უკეთესი ვიდრე სადმე სხვაგან. იქვე ისყიდება: პაპიროსი არშ. 40 კა. სტაქნები და ბაკლები 10 კაპ., პადნოსები 5 კაპ. მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (25—9)

---

**ლონდონის მაღაზია** კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაიგასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შრო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგირებისა, საკრისისა (გემრიელი კლემჩივინი ზეთისა) და სხვ. საავენტო მაკინტოშის მოსასხურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატჯერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდების ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჯავჩას გიარები. (100—6)

---

**ჩაის მცოდნე პირმა და მსურველმა უნდა იყიდოს ჩაი, პირველი მოკრეფილისა ინგლისის მაღაზიაში 1 მან. 20 კაპ. და 2 მან. და შეადაროს ჩაის 1 60 კაპ. და 3 მან. ყველგან, ქ. თბილისში და გაიგებთ რამდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღაზია აძლევს ჩაის წმინდა წონით უქაღალდოთ და უტყვიოთ.**

(100—20)

---

ინგლისის მაღაზიაში

არწრუნის გალლერეიაში

(*Maison de confiance*)

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | ჩაის ყველგან |
| --- | --- |
| — — 1 მ. 10 კაპ. | — 1 მ. 40 კაპ. |
| — — 1 „ 20 „ | — 1 „ 60 კაპ. |
| — — 1 „ 40 „ | — 1 „ 90 კაპ. |
| — — 1 „ 60 „ | — 2 „ 20 კაპ. |
| — — 1 „ 80 „ | — 2 „ 50 კაპ. |
| საუკეთესო 2 მანეთ. | — 3 მანეთ. |

ჩაის წონა—უქაღალდოა, სხვაგან კი ქაღალდით. (100—24)

---

**ახლად მიღებული**

დიდ ძალი რიცხვი თოფებისა, რევოლვერებისა, სასროლებისა, პირველ მოკრეფის ჩაისა, ბაკლებისა და სხვ. თოფები ჩოკ ბორ (*chôke bore*) *George Dau*-ს ფაბრიკიდამ 120 მან. ბულ-დოგის რევოლვერები 11 მან. 700 კრავატები 5 მანეთიდამ 40 მა-მდის. აქვე ისყიდება პაპიროსი ნახევარ ფასად და სხვ. **ინგლისის მაღაზიაში.** (12—7)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3 Августа 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი